საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

05/03/2025

MES 4 25 0000539104

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს №1033281 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის“ სამაგისტრო და „ხელოვნების მენეჯმენტის და კულტურის პოლიტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 2025 წლის 28 თებერვლის ზეპირ მოსმენაზე საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. საბჭომ დააზუსტა, რომ ექსპერტების დასკვნის ბოლო გვერდზე, დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობა და საგანმანათლებლო პროგრამა პირველ სტანდართან მიმართებით, უნდა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით

გათვალისწინებულ „ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის“ სამაგისტრო და „ხელოვნების მენეჯმენტის და კულტურის პოლიტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 5 მარტის სხდომის №240524 ოქმის № 05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაინერგოს სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლი, სადაც არაპირდაპირი შეფასებებიდან (მაგ. დამსაქმებელთა უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) მიღებული მოსაზრებები სისტემატურად იქნება გამოიყენებული სასწავლო გეგმის და პროგრამის შედეგების კორექტირების მიზნით.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური სტანდარტების პრაქტიკული განხორციელება სტანდარტიზებული აკადემიური სტილის სახელმძღვანელოს გაუმჯობესებით და აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით რეგულარული ტრენინგების განხორციელებით პრაქტიკის დოკუმენტირებულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
- რეკომენდებულია, შეფასების პრაქტიკის პერიოდული მიმოხილვის განხორციელებით დაინერგოს რეგულარული შეფასების მექანიზმები, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დოკუმენტირებული სტანდარტების დაცვა და განხორციელების გასაუმჯობესებლად მიზნობრივი უკუკავშირის მიწოდება.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა აკადემიური დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, შესაბამისი დასაქმების კონსულტაციების და კარიერული განვითარების შესახებ.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო/შემოქმედებით აქტივობებში, კონფერენციებში და შესაბამისი დონის კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობები, ასევე გაფართოვდეს საერთაშორისო მობილობის და გაცვლითი პროგრამების შეთავაზებები.
- რეკომენდებულია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფდეს სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტების რეგულარულ კონსულტაციებს კვლევის დიზაინის, კვლევის მეთოდოლოგიის და ადგილობრივ და საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაციის პროცესების შესახებ.
- აუცილებელია გაუმჯობესდეს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების / თანახელმძღვანელების ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ხელმძღვანელის სათანადო ჩართულობა პროგრამების განხორციელების და განვითარების პროცესში, ან პასუხისმგებლობების სხვა პირთან გაზიარება (მაგალითად, თანახელმძღვანელის პოზიციის შექმნა).

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ განახორციელოს, გააანალიზოს და აქტიურად გამოიყენოს პროგრამის პერსონალის შეფასების შედეგები, პროგრამის სამეცნიერო ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მხარი დაუჭიროს მათ საერთაშორისო პროექტებში, კვლევებში და კონფერენციებში მონაწილეობას.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება (პერსონალის მობილობის მიმართულებით), მათ შორის მსგავსი პროგრამების მქონე დაწესებულებებთან.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს ბიბლიოთეკის პერსონალის გადამზადება, იმისათვის, რომ გაუწიონ სტუდენტებს სათანადო დახმარება ელექტრონული ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს მექანიზმები სამეცნიერო ბაზების გამოყენების სიხშირის გასაზრდელად.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ბიუჯეტი ისეთი რესურსების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამის მდგრადობას, ზრდას და უწყვეტ გაუმჯობესებას. აღნიშნული მოიცავს ფაკულტეტის განვითარების, კვლევების მხარდაჭერის, საინფორმაციო ინიციატივების და ხარისხის უზრუნველყოფისთვის განკუთვნილ თანხებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სიძლიერეს და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას.
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ყველა პროცედურის შესასრულებლად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს PDCA ციკლის რეალური და ეფექტური განხორციელება, რაც უნდა დაიწყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საკმარისი კადრებით უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდეს დოკუმენტები, რომლებშიც აღწერილ იქნება თუ როგორ განხორციელდა წინა აკრედიტაციის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება.
- რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების და გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლებთან მკაფიო და სისტემური კომუნიკაცია.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გამოიყენოს ბენჩმარკინგის პროცედურისადმი სისტემური მიდგომა და პერიოდული შემოწმების გზით უზრუნველყოს მისი განხორციელება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის შეფასების ეფექტური მექანიზმი "SMART" ინდიკატორების ჩამოყალიბებით.

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ იყოს გათვალისწინებული პერსონალის მართვა/ადამიანური რესურსების მართვა, ციფრული კომპეტენციები, კულტურათაშორისი უნარები და საზღვრებს შორისი თანამშრომლობა, ასევე ხელოვნების დაფინანსება.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში უფრო მეტად აისახოს უნარები, რომელზეც მიმდინარე სამუშაო ბაზარზე მაღალი მოთხოვნაა, მაგალითად: საერთაშორისო თანამშრომლობა, მოლაპარაკების უნარები, ადამიანური რესურსების მართვა, ციფრულ მარკეტინგი, დაფინანსების სტრატეგიები.
- რეკომენდებულია, პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერების მიზნით, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს სავალდებულო სტაჟირება ან პროექტზე დაფუძნებული სამუშაო მუზეუმებში, თეატრებში ან ხელოვნების ფესტივალებში.
- რეკომენდებულია, შეიქმნას სპეციალური გაძლიერებული კურსი სოციალური მეცნიერებების / ხელოვნების მენეჯმენტის კვლევის მეთოდების მიმართულებით,

რომელიც ორიენტირებული იქნება კულტურის მენეჯმენტისთვის დამახასიათებელ თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების გაძლიერება მეტი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით და გამდიდრება შესაბამისი სფეროების უახლესი სამეცნიერო ნაშრომებით.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, გადაიხედოს და გაფართოვდეს კულტურული მემკვიდრეობის მართვასთან და შემოქმედებით ეკონომიკასთან დაკავშირებული კურსების შინაარსი, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა კულტურის შენარჩუნება, ინოვაციები და პოლიტიკის გამოყენება.
- რეკომენდებულია, "კულტურის მენეჯმენტის" და "მარკეტინგის მენეჯმენტის" არსებულ კურსებში განხორციელდეს თანამედროვე თემების ინტეგრირება, როგორიცაა კულტურის მართვის ციფრული ინსტრუმენტები, ხელოვნური ინტელექტი შემოქმედებით ინდუსტრიებში და მდგრადი პრაქტიკა.
- რეკომენდებულია, შერჩევის პროცესში გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით გამოქვეყნდეს შიდა სპეციალობის გამოცდის თემები და შეფასების კრიტერიუმები.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო დონეზე გაიზარდოს პრაქტიკული უნარების დონე სტრუქტურირებული და ხელმძღვანელობითი სტაჟირებების უზრუნველყოფით, რაც სტუდენტებს თეორიული ცოდნის პროფესიულ გარემოში გამოყენების საშუალებას მისცემს.
- რეკომენდებულია აკადემიური წერის კურსში გაჩნდეს ვალდებულება მონაცემთა-ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა სტუდეტებმა შეძლონ შეისწავლონ აღნიშნული ბაზების გამოყენება.

რჩევები:

- სასურველია, პროგრამის მიზნები უფრო მეტად შეესაბამებოდეს სხვა საერთაშორისო ინდიკატორებს - როგორიცაა მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობა, ხელოვნების ხელმისაწვდომობაში მრავალფეროვნების მხარდაჭერა და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება.
- სასურველია, პროგრამის მიზნები უფრო მეტად ეფუძნებოდეს კომპეტენციებს, სტუდენტების მიერ მისაღები კონკრეტული უნარების დეტალური შედეგების მითითებით (მაგ. ფინანსური მენეჯმენტი ხელოვნებაში, დაფინანსების მოძიების უნარი, პოლიტიკის შემუშავება) და ამ მიზნების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო კვალიფიკაციების ჩარჩოებთან, როგორიცაა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო.
- სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს სტუდენტების კვლევით უნარებზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი პროგრამები არის მენეჯმენტის პროგრამები და კვლევის კულტურა და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებულ კვლევის წარმოების ზოგად სტანდარტებს.
- სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკული კომპონენტები, როგორიცაა სტაჟირებები და პროექტზე დაფუძნებული სწავლება, იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს ხელოვნების და კულტურის სფეროს თანამედროვე მოთხოვნებს.
- სასურველია, სწავლის შედეგებში უკეთ იყოს განსაზღვრული სხვადასხვა ორგანიზაციულ გარემოში შეძენილი უნარების გამოყენების გზები, როგორიცაა არაკომერციული, სამთავრობო და კერძო სექტორი.
- სასურველია შემუშავდეს თანმიმდევრული რუბრიკები პრაქტიკული კომპონენტების შეფასების მიზნით, როგორიცაა შემოქმედებითი პროექტები და სტაჟირებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მკაფიო, ობიექტური კრიტერიუმები შეფასების ყველა ფორმატში.

- სასურველია სასწავლო გეგმის შესაბამისობის რუკის უფრო მკაფიოდ დაკავშირება შეფასების ძირითად კომპონენტებთან პროგრამის გაძლიერებულ ეტაპებზე, როგორიცაა საბოლოო პროექტები, იმისათვის, რომ დადასტურდეს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სრული სპექტრის მიღწევა პროგრამის დასრულებისას
- სასურველია, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდებოდეს რეგულარულ რეჟიმში.
- სასურველია, შემუშავდეს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ერთობლივ პროგრამებად გარდაქმნის გეგმა, რაც გულისხმობს მენეჯმენტის მიმართულების აკადემიური პერსონალის ჩართვას საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.
- სასურველია, სტუდენტების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამას დაემატოს შერეული მოდული, რომელიც ხელოვნების მენეჯმენტს გააერთიანებს საჯარო მმართველობასთან, კულტურულ ეკონომიკისათან ან პოლიტიკის დაცვასთან.
- სასურველია, პროგრამას დაემატოს (მონაცემებზე დაფუძნებული) გადაწყვეტილების მიღების და ხელოვნების მარკეტინგის კურსი კულტურული ორგანიზაციებისთვის, თანამედროვე ინდუსტრიის საჭიროებების ასახვის მიზნით.
- სასურველია, ხელოვნების მენეჯმენტში გლობალური პერსპექტივების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამას დაემატოს უცხოეთში სწავლის არჩევითი პროგრამა ან კულტურის დაწესებულებებთან საერთაშორისო თანამშრომლობა.
- სასურველია, პროგრამის 120 კრედიტიანი სტრუქტურა, მათ შორის მისი აკადემიურ და კვლევით კომპონენტებად დაყოფა, შეესაბამებოდეს საბაზისო ცოდნიდან გაძლიერებულ გამოყენებამდე ლოგიკურ პროგრესიას.
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია ქართული ხელოვნების ისტორიაზე და სასწავლო კურსებში თანამედროვე და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიის ჩართვა.
- სასურველია, კვლევითი კომპონენტის შესავსებად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების წახალისებისთვის პროგრამაში გათვალისწინებული იყოს შემთხვევის შესწავლის ანალიზის და გამოყენების სემინარი
- სასურველია, ინოვაციების, ციფრული ტექნოლოგიების და კულტურის მენეჯმენტს შორის კავშირების შესწავლის მიზნით შემუშავდეს "ხელოვნების და ტექნოლოგიების" არჩევითი კურსი.
- სასურველია, არსებულ მოდულებს დაემატოს პრაქტიკული დავალებები, როგორიც არის სტუდენტებისთვის კულტურის ორგანიზაციებისთვის მარკეტინგული კამპანიების ან პოლიტიკის წინადადებების შედგენის მოთხოვნა. პროგრამა
- სასურველია, კულტურის მენეჯმენტზე ორიენტირებულ კურსებს დაემატოს სიმულაციური სავარჯიშოები და როლური თამაშების სცენარები შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების მიზნით.
- სასურველია, განხორციელდეს დისციპლინათაშორისი პროექტების ორგანიზება სხვა სკოლებთან / ფაკულტეტებთან, როგორიცაა მედია ან ბიზნეს სწავლება, ისეთი ტრანსფერული უნარების გასაძლიერებლად, რომლებიც მოიცავს გუნდურ მუშაობას, კომუნიკაციას და ლიდერობას.
- სასურველია, ისეთ კურსებში, როგორიცაა "კულტურის სფეროში პროექტების და პროგრამების მართვა" და "მუზეუმების და საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი" გათვალისწინებული იყოს მეტი რეალურ სიტუაციებზე დაფუძნებული პროექტები და შემთხვევები.

- სასურველია, შემთხვევების შესწავლის და რეალურ სიტუაციებზე დაფუძნებული სიმულაციების მეშვეობით გაძლიერდეს გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, ასევე სწავლების მეთოდებში უფრო კომპლექსური შემთხვევების და რეალური სიმულაციების გათვალისწინება.
- სასურველია, შემოღებულ იქნას მეტი თანამშრომლობითი, პროექტზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობები, რომლებიც ითვალისწინებენ სხვა დისციპლინების, როგორიცაა ბიზნესი, მედია და ტექნოლოგიები, ხერდვებს და გამოცდილებას.
- სასურველია, დაინერგოს კოლეგიალური სემინარები და ვორქშოპები, სადაც დოქტორანტები წარადგენენ და განიხილავენ ერთმანეთის ნაშრომებს აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით. აღნიშნული მეთოდი არა მხოლოდ შეესაბამება საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკას, არამედ აძლიერებს კრიტიკულ აზროვნებას.
- სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს კონტრაქტის სიზუსტეს.
- სასურველია, მომავალში საფუძვლიანად გადაიხედოს თანამშრომელთა შეგროვებული მონაცემები (რეზიუმეები), იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი თანმიმდევრული და ერთიანი ფორმით წარმოდგენა, ასევე, კორპორატიული ელფოსტის უზრუნველყოფა.
- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს დამხმარე აკადემიური პერსონალის გააქტიურება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების მიმართულებით.
- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს ხელმძღვანელების სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაციის, საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის და მაღალი იმპაქტ - ფაქტორის მქონე რეცენზირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების მიმართულებით.
- სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად განხორციელდეს არსებული მექანიზმები, პროგრამის პერსონალის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.
- სასურველია წახალისდეს ელექტრონული წიგნებისა და სტატიების გამოყენება.
- სასურველია, განხორციელდეს სკოლის ელექტრონული ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარება.
- სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს ფინანსების მოძიების სტრატეგია პროგრამების (კლასტერი) ბიუჯეტის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით.
- სასურველია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ზოგადი აღწერილობის ნაცვლად წარმოადგინოს თვითკრიტიკული და ანალიტიკური თვითშეფასების ანგარიში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციასა და მათ დანართებს.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიყენოს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები, სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის შესაგროვების მიზნით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 28 თებერვალს.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2026 წლის 28 თებერვლამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული
მზამავსამეღლი
ელექტრონულად

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების და კულტურის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.11.2018 N 168
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების და კულტურის მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	--
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	28/02/2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად - 28/02/2026
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	28/02/2032